# სტუ-ს ელექტრონულ ფოსტაზე (e-mail)
# ორმაგი ავთენტიფიკაციის ჩართვის ინსტრუქცია

## ნაბიჯი 1:

1.1. mail.gtu.ge ან www.gmail.com-ზე მომხმარებლის პარამეტრებით(მომხმარებლის სახელი და პაროლი) შესვლის შემდეგ, გადადით თქვენი Google ანგარიშის უსაფრთხოების პარამეტრებზე. Gmail-ის ზედა მარჯვენა კუთხეში დაწკაპუნებით თქვენი პროფილის ხატულაზე. შემდეგ აირჩიეთ Google ანგარიშის მართვა - Manage Your Google Account.







1.2. მარცხენა ნავიგაციის პანელში დააწკაპუნეთ Security (უსაფრთხოების) ღილაკზე.



## ნაბიჯი 2:

2.1. დაიწყეთ 2-ეტაპიანი ავთენტიფიკაციის დაყენება

- გადადით How you sign in to Google განყოფილებაში
- დააჭირეთ 2-Step Verification ღილაკს და დააწკაპუნეთ Get started.




## ნაბიჯი 3:

3.1 დააჭირეთ ღილაკს Turn on 2-StepVerification



3.2 ჩამონათვალში აირჩიეთ საქართველოს ქვეყნის კოდი Georgia (+995) და ჩაწერეთ თქვენი მობილურის ნომერი.




3.3 მობილურის ნომრის ჩაწერის შემდეგ დააჭირეთ Next ღილაკს.




3.4 შეტყობინება Confirm your phone number გამოსვლის შემდეგ დააჭირეთ Save ღილაკს.




3.5 თქვენ გაგიაქტიურდათ 2-ფაქტორიანი ავთენტიფიკაცია, დააჭირეთ ღილაკს Done.



ელექტრონულ ფოსტაზე ხელმეორედ შესვლის შემდეგ, მითითებულ მობილურ ნომერზე გამოიგზავნება SMS-ის 6 ციფრიანი კოდი.  თუ გსურთ გარკვეული პერიოდის განმავლობაში აღარ მოგთხოვოთ კოდის ხელახლა ჩაწერა, მონიშნეთ ველი Don't ask again on this device. და დააჭირეთ ღილაკს Next.

ამის შემდეგ, ელ.ფოსტა გაიხსნება და მოწყობილობა ჩაითვლება სანდოდ.




**თუ მობილურზე დამატებული გაქვთ ელ. ფოსტა**

ხელმეორედ შესვლის შემდეგ Google SMS-ის გამოგზავნის ნაცვლად, თავდაპირველად მოგთხოვთ მობილურით ავთენტიფიკაციას:
1) თუ შეტყობინება ვერ მიიღეთ, შეგიძლიათ დააჭიროთ Resend it ღილაკს და ხელმეორედ გამოიგზავნება.
2) თუ ამ მეთოდით ვერ გააქტიურებთ, შეგიძლიათ დააჭიროთ Try another way ღილაკს, მიუთითოთ მობილურის ნომერი და გამოგეგზავნებათ ახალი SMS შეტყობინება.



3) მობილურის ნომრის მითითება

1. აირჩიეთ Get a verification code, სადაც მითითებული მობილურის ნომრის ბოლო 2 ციფრი იქნება ნაჩვენები




2. მიუთითეთ იგივე მობილურის ნომერი




3. მობილურზე გადაამოწმეთ Google-საგან გამოგზავნილი SMS და მიუთითეთ კოდი




4. Next ღილაკზე დაჭერის შემდეგ შეხვალთ ელ.ფოსტაში.

**გისურვებთ წარმატებას!**